თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4030304

ნომერი: AR1607726

თარიღი : 11.06.2018

გაცემის თარიღი : 26.06.2018

გაცნობის თარიღი : 28.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 1ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვარდისუბანი , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ხმალაძე პ/ნ 01010004091
- ქვიშხეთის ქ.1ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1607726 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1598303 განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 03 მაისს # AR1598303 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე შორენა კიკვაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში #01.12.08.006.018 საკადასტრო ერთეულზე დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება. საკითხის შესწავლის შედეგად სამსახურის 2018 წლის 13 ივნისის N4011422 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა განმცხადებელს, აღნიშნული განაცხადით მომართული საკითხის დაკმაყოფილებაზე.
ასევე გაცნობებთ, რომ 2018 წლის 18 ივნისს AR1609296 ელექტრონული განაცხადით, სამსახურს მომართა მოქალაქე შორენა კიკვაძემ და მოითხოვა ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.
ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.
სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge